

“ვამტკიცებ“

სსიპ “საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და  
სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“-ს  
რექტორი, პროფესორი ჯემალ ძაგანია

## ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დებულება

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი (შემდგომში-ფაკულტეტი) წარმოადგენს უნივერსიტეტის ძირითად სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთულს, რომელიც აკადემიური თავისუფლების პირობებში ახორციელებს სასწავლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.
2. ფაკულტეტი ვალდებულია სტუდენტს შეუქმნას საუკეთესო პირობები სწავლისა და დამოუკიდებელი კვლევისათვის, უზრუნველყოს მეცნიერების შესაბამის დარგში თანამედროვე განათლების შესატყვისი, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის განვითარებაზე ორიენტირებული ცოდნის მიღების შესაძლებლობა და მუდმივად იზრუნოს სასწავლო-სამეცნიერო პირობების გაუმჯობესებაზე. საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიანიჭოს შესაბამისი აკადემიური ხარისხი და გასცეს ამ ხარისხის დამადასტურებელი საბუთი.
3. ფაკულტეტის საქმიანობა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდების, დებულებების, შინაგანაწესისა და წინამდებარე

დებულების საფუძველზე. ფაკულტეტის დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

4. ფაკულტეტს აქვს მრგვალი ბეჭედი, შტამპი, ლოგო და სატიტულო ფურცელი.

## **მუხლი 2. ფაკულტეტის ამოცანები და მიზნები**

1. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შემუშავება. საგანმანათლებლო პროგრამებისა და გეგმების შედგენა, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების შინაარსთან:

2. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის პროცესის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

3. სტუდენტთა ინფორმირება სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე.

4. მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების (დიპლომები, სერთიფიკატები, აკადემიური ცნობა) მომზადება, გაცემა და აღრიცხვა.

5. სტუდენტი ვაჟების აღრიცხვიანობის უზრუნველყოფა.

6. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკის სტრატეგიაში მონაწილეობა.

## **მუხლი 3. ფაკულტეტის სტრუქტურა და მართვა**

1. ფაკულტეტი შედგება სასწავლო-სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან.

2. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ა) ფაკულტეტის საბჭო; ბ) ფაკულტეტის დეკანი; გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; დ) დეპარტამენტები.

3. სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფენ ფაკულტეტზე არსებული დეპარტამენტები და მათი პროგრამული მიმართულებები.

4. ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადასრულებენ ფაკულტეტის აკადემიური საბჭოსა და დეკანატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

#### **მუხლი 4. ფაკულტეტის საბჭო**

1. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ფაკულტეტის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება წარმომადგენლობის საფუძველზე ფაკულტეტის მიმართულებების (დეპარტამენტების) მიხედვით, უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით დადგენილი წესით.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა განისაზღვრება განათლების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და არ შეიძლება იყოს საბჭოს შემდგენლობის  $\frac{1}{4}$ (30%)-ზე ნაკლები.

3. ფაკულტეტის საბჭო ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და შინაგანაწესით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას..

4. ფაკულტეტის საბჭოს საქმიანობას კოორდინაციას უწევს და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანი.

5. ფაკულტეტის საბჭო საქმიანობას წარმართავს საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

6. ფაკულტეტის საბჭო დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს.

7. ფაკულტეტის საბჭო ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს.

## მუხლი 5. ფაკულტეტის დეკანი

1. ფაკულტეტის დეკანი უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების გეგმას, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამებს, ფაკულტეტის სტრუქტურას, პასუხისმგებელია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებებისა და რექტორის ბრძანებების შესრულებაზე.
2. ფაკულტეტის დეკანი ხელმძღვანელობს ფაკულტეტზე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებას, რომელიც ხელს უწყობს სწავლის ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების საფუძველზე.
3. უშუალოდ ხელმძღვანელობს ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო და აღმზრდელობით მუშაობას.
4. უზრუნველყოფს სასწავლო-საგანმანათლებლო გეგმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების თანმიმდევრულ შესრულებებს, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესს, სტუდენტთა პრაქტიკებს.
5. ხელმძღვანელობს სასწავლო მეცადინეობების ცხრილების შედგენას და აწარმოებს კონტროლს მათ შესრულებაზე.
6. ინახავს ყველა საჭირო დოკუმენტაციას არქივში ჩაბარებამდე.
7. წარმართავს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა სამეცნიერო მომზადებას.
8. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებების შესრულებაზე.
9. თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს.
10. თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს.

11. წესდების შესაბამისად პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე.

12. ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა მომზადებას უნივერსიტეტისა და ქვეყნის მამტაბით ჩატარებულ სამეცნიერო კომფერენციებში მონაწილეობის მისაღებად.

13. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

### **მუხლი 6. დეკანატი**

1. ფაკულტეტის დეკანატი ახორციელებს ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური მუშაობის დაგეგმვას, ორგანიზაციას და კონტროლს.

დეკანატის ფუნქციებში შედის:

ა) სასწავლო განრიგისა და სწავლების პროცესის დაგეგმასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შემუშავება.

ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზაცია და ფაკულტეტზე მიმდინარე ყველა სახის სასწავლო პროცესის აღრიცხვა და კონტროლი.

გ) ფაკულტეტის სტუდენტთა აღრიცხვა, სტუდენტთა პირადი საქმეების შედგენა და დოკუმენტაციის კონტროლი.

დ) პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის ორგანიზაცია და კონტროლი.

ე) ფაკულტეტის განვითარების პერსპექტივებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფის გეგმების შემუშავება.

### **მუხლი 7. ფაკულტეტის მდივანი**

ფაკულტეტის მდივნის მოვალეობები:

1. სტუდენტთა შევსება-წარმოება;

2. ჩათვლის წიგნაკების შევსება;

3. სტუდენტთა სასწავლო ბარათების შევსება;

4. კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართების შევსება;

5. სტუდენტთა პირადი მონაცემების ცალკე საქმედ შენახვა;
6. ლექტორთა მიერ უწყისების ხელმოწერის შემდეგ მათი ცალკე საქმედ შენახვა წლების, სემესტრების, სპეციალობების მიხედვით;
7. ბაზის კომპიუტერული ვერსიისა და დემოგრაფიული მონაცემების შექმნა და სისტემატური განახლება;
8. სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება;
9. შესაბამისი სტრუქტურებისათვის ცხრილების, სიების, უწყისების და სტუდენტთა მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება;
10. სტუდენტებისათვის ცნობებისა და ინფორმაციის გაცემა;
11. კონტროლი სტუდენტთა აკადემიურ და ფინანსურ დავალიანებაზე;
12. დამამთავრებელი კურსის სტუდენტთა საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება;
13. დემოგრაფიული მონაცემების გადამოწმება დიპლომის შესავსებად;
14. წარჩინების დიპლომის კანდიდატთა დადგენა;
15. სტუდენტთა პირადი საქმის აკინძვა და არქივში ჩაბარება;

#### **მუხლი 8. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური**

1. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით წინამდებარე დებულების შესაბამისად იქმნება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
2. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ამოცანაა ხელი შეუწყოს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების (მოდულები, კრედიტები და ა.შ.) გამოყენების გზით და აკრედიტაციის პროცესისათვის თვითშეფასების ფორმების მომზადებას.

3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამყარებს მჭიდრო კავშირს და თანამშრომლობს საზღვარგარეთის ქვეყნებისა და მათი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად.

4. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო. არჩევის წესი და პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით.

5. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე.

6. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შეიძლება იყოს ფაკულტეტის საბჭოს წევრი ასოცირებული ან სრული პროფესორი.

#### **მუხლი 9. ფაკულტეტის კათედრები**

1. კათედრა წარმოადგენს ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დანაყოფს, რომელიც ახორციელებს სასწავლო მეთოდურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ – ლაბორატორიულ და სხვა მუშაობას და უზრუნველყოფს ფაკულტეტის სტუდენტების (მათ შორის მაგისტრანტებისა და დოქტორანტების) მომზადებას. კათედრის მუშაობა რეგულირდება საქართველში მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით.

2. კათედრის ფუნქციებია:

ა) სასწავლო დისციპლინის კურიკულუმებისა და სილაბუსების შემუშავება.

ბ) სასწავლო პროცესის წარმართვა.

გ) მეთოდური რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელოების შექმნა.

დ) პრაქტიკული, ლაბორატორიული და სხვა საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პროექტების შემუშავება.

3. ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით კათედრის მუშაობას წარმართავს

კათედრის ხელმძღვანელი პროგრამული მიმართულებების კოორდინატორთან ერთად. ხელმძღვანელი პასუხისმგებელია კათედრის სტრუქტურაში არსებული ყველა რგოლის მუშაობაზე.

4. ფაკულტეტზე უნქციონირებს:

ა. ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიის, ბიოლოგიის და ბიოქიმიის კათედრა;

ბ. სპორტული მედიცინის, სამკურნალო ფიზიკური აღზრდისა და რეაბილიტაციის, ჰიგიენისა და მასაჟის კათედრა;

გ. ბიომექანიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრა;

#### **მუხლი 10. ფაკულტეტის აკადემიური და სხვა პერსონალი**

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ პროფესორებისა და ასისტენტისაგან.

2. პროფესორის პედაგოგიური დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.

3. აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

4. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საფუძველზე საბუთების მიღებამდე არა უგვიანეს 1 და კონკურსის ჩატარებამდე არა უგვიანეს 2 თვით ადრე.

5. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს რექტორი.

6. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნები.

ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები.

გ) შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.

7. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება.



ბ) ვადიანი ხელშეკრულების ვადის გასვლა.

გ) უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნების უხეში ან სისტემატური დარღვევა.

დ) შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა.

ე) პენსიაზე გასვლა.

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

8. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებს მიეკუთვნება: დეკანი, დეკანის მოადგილეები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

11. ფაკულტეტის პედაგოგიური პერსონალს მიეკუთვნება აგრეთვე მოწვეული სპეციალისტი, უფროსი მასწავლებელი, მასწავლებელი, ლაბორანტი, რომლებთანაც დეკანის წარდგინებით შრომით ხელშეკრულებას აფორმებს რექტორი. ფაკულტეტის პედაგოგიური შემადგენლობის რაოდენობა განისაზღვრება სასწავლო, სამეცნიერო და მეთოდური სამუშაოს მოცულობით. ფაკულტეტის პედაგოგების დატვირთვას ადგენს დეკანი მათი კვალიფიკაციის, სამუშაოს მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

12. ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება უნივერსიტეტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა პერსონალი.

13. ფაკულტეტის პერსონალის წახალისებასთან და დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება უნივერსიტეტის წესდების, შინაგანაწესისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნის საფუძველზე.

### **მუხლი 11. ფაკულტეტის სტუდენტის უფლებები და მოვალეობები**

სტუდენტი არის პირი, რომელიც “უმადლეის განათლების შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე და უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების შესაბამისად

ჩაირიცხება და სწავლობს უნივერსიტეტის პროგრამის გასავლელად.

სტუდენტს უფლება აქვს:

1. მიიღოს ხარისხიანი განათლება.
2. მონაწილეობა მიიღოს მეცნიერულ კვლევაში.
3. უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით.
4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტის საქმიანობის, მათ შორის, საფინანსო და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ.
5. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტური თვითმმართველობის, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მართვის წარმომადგენლობით ორგანოებში “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.
6. თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციაში თავისი ინტერესების შესაბამისად.
7. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას.
8. საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე კურსიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მოახდინოს მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების ამ დაწესებულებაში გადატანა.
9. სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების, აკადემიური ჩამორჩენილობის, სტუდენტის ეთიკის კოდექსის, უნივერსიტეტის წესდებისა და შინაგანაწესის მოთხოვნების უხეში დარღვევისას.

სტუდენტი ვალდებულია:

1. დაიცვას უნივერსიტეტის წესდება და შინაგანაწესი, დადგენილი პროგრამის მიხედვით ისწავლოს ყველა ის საგანი, რომლის სწავლებაც სავალდებულოა და საკუთარი სურვილით აირჩია.
2. იყოს უნივერსიტეტის პატრიოტი, ზრუნავდეს მის იმიჯზე კეთილდღეობასა და წარმატებაზე.
3. რეგულარულად დაესწროს მეცადინეობებს (ლექციებს, სემინარებს, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს)

## **მუხლი 12. ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობა**

1. ფარული კენჭისყრით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, არჩევნების საფუძველზე იქმნება ფაკულტეტების მიხედვით არჩეული სტუდენტური თვითმმართველობა.
2. სტუდენტური თვითმმართველობა თავისი დებულების შესაბამისად:
  - 2.1. უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას ფაკულტეტის მართვაში.
  - 2.2. ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას.
  - 2.3. ირჩევს წარმომადგენლებს ფაკულტეტის საბჭოში.
  - 2.4. უფლებამოსილია შეიმუშავოს წინადადებები ფაკულტეტის ან უნივერსიტეტის მართვის სისტემისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
  - 2.5. სტუდენტური თვითმმართველობა დეკანატთან ერთად ორგანიზაციას უწევს სტუდენტთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტების მომზადებას და მონაწილეობას.
3. ფაკულტეტის ადმინისტრაციას უფლება არა აქვს ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში.

### **მუხლი 13. დასკვნითი დებულება**

ფაკულტეტის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.